# ო ქ მ ი #4

## თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 22 მაისის სხდომისა

**სხდომას ესწრებოდნენ:**

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, თ. დათუაშვილი, მ. ელიაშვილი, ნ. ინასარიძე, ხ. ინასარიძე, ა. კვინიხიძე, მ. მანია, ა. მესხი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 15 წევრი).

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისიაში ცვლილების შეტანა.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში სამეცნიერო პერსონალის - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი - სამსახურში მისაღებად თსუ რექტორის 12.04.2019 წ. # 87/01-01 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით თსუ რექტორის 02.05.2019 წ. # 100/01-01 ბრძანებით დამტკიცდა თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, მეცნიერი თანამშრომლების თანამდებობებზე შესარჩევად კომისია შემდეგი შემადგენლობით: 1. **ივანე წერეთელი** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი; 2. **გიორგი ხიმშიაშვილი** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი; 3. **ალექსანდრე გამყრელიძე** - კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

ნ. ფარცვანიამ აღნიშნა, რომ კომისიის თავმჯდომარემ ი. წერეთელმა 2019 წლის 21 მაისს განცხადებით მიმართა თსუ რექტორს აღნიშნული კომისიიდან გამოსვლის თხოვნით, რაც დაკავშირებულია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. ამიტომ საჭიროა მოხდეს ცვლილების შეტანა და ი. წერეთლის ჩანაცვლება სხვა კანდიდატურით.

ნ. ფარცვანიამ საკონკურსო კომისიის წევრობის (თავმჯდომარის) ახალ კანდიდატურად დაასახელა თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **მამუკა ჯიბლაძე.**

**ს ა კ ი თ ხ ი დ ა დ გ ა კ ე ნ ჭ ი ს ყ ა რ ზ ე.** ჩატარდა ღია კენჭისყრა.
საბჭოს წევრებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს მ. ჯიბლაძის კანდიდატურას.

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:** ეთხოვოს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ჩაანაცვლოს თსუ რექტორის 02.05.2019 წ. # 100/01-01 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ი. წერეთელი თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის **მამუკა ჯიბლაძის** კანდიდატურით.

სხდომის თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი ო. ჯოხაძე